



# ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივის პოტენციური ქართული ინსტიტუტებისა და ექსპერტებისთვის

## კონტექსტი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ (EU4Environment) ფარგლებში, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) ხელს უწყობს ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივისა და პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის პოპულარიზაციას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგია ეხმარება კომპანიებს გაზომონ პროდუქტის გარემოსდაცვითი ეფექტურობა და მდგრადი პროდუქტის ბაზარზე სათანადო ადგილი დაიმკვიდრონ. საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებში გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) ორიენტირებულია არსებული პრაქტიკებისა და პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვის ბარიერების აღრიცხვაზე (აღარებს ხელმისაწვდომ ეტიკეტირების მექანიზმებს), ამასთანავე, კონცენტრირებულია SMGP ინიციატივასთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და უპირატესობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, რათა ხელი შეეწყოს პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის პილოტირებასა და წახალისებას შერჩეულ ინდუსტრიებში.

მოცემული ბროშურა PEF-ის მიერ გამოყოფილი რესურსების ნაწილია და შექმნილია, ეკო-მეგობრული პრაქტიკების საქართველოში პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

## ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის

2013 წელს ევროკომისიამ ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივა შეიმუშავა, რათა ხელი შეუწყოს სამართლიანი თანაბარი პირობების შექმნას იმ პროდუქტების თუ კომპანიების გარემოზე ზემოქმედების გავლენის შესახებ კომუნიკაციისთვის, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე შედიან. ინიციატივა აერთიანებს პროდუქტისა და ორგანიზაციის გარემოსდაცვითი კვალის (PEF და OEF) მეთოდოლოგიებს, რომელიც კომპანიებს ეხმარება დაასაბუთონ საკუთარი საქმიანობის გარემომეგობრულობა. თავის მხრივ, აღნიშნული მეთოდოლოგიები უზრუნველყოფს, რომ საწარმოებისთვის შემუშავებული იყოს ერთიანი მიდგომა, პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად, ამავდროულად, მომხმარებლებს მიაწვდის მართებულ ინფორმაციას და ცნობიერებას აამაღლებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე. ხსენებული გზით, ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან ეკონომიკურ ზრდას.

## პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი (PEF)

პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი (PEF)<sup>1</sup> უზრუნველყოფს სამართლიან კონკურენციას მწარმოებლებს შორის და აუმჯობესებს პროდუქტების გარემოსდაცვითი ეფექტურობის შედარებითობასა და ამის თაობაზე კომუნიკაციას. ევროკომისიამ პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგია წარადგინა, როგორც პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების

შეფასებისა და გაზომვის სტანდარტული გზა, პროდუქტის სიცოცხლის სრული ციკლის განმავლობაში (ნედლეულის მოპოვება; წარმოება, გადაზიდვა და მოწყობა; ნარჩენების საბოლოო მართვა). პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგია, ასევე, საშუალებას იძლევა 16 სხვადასხვა გავლენის კატეგორიაზე დაყრდნობით პროდუქტზე გარემოსდაცვითი გავლენა გამოითვალოს. ხსენებულ კატეგორიებს მიეკუთვნება კლიმატის ცვლილება, მჟავიანობა, ევტოფიკაცია, რესურსებით სარგებლობა და სხვა.<sup>2</sup>

სხვადასხვა გავლენის კატეგორიების შედეგები შემდგომში სტანდარტიზდება და მრავლდება შეწონილ ცვლადებზე, რათა საერთო შეფასების ქულა დადგინდეს. აღნიშნული, განსაზღვრავს პროდუქტის გარემოსდაცვითი გავლენის საერთო პროფილს. პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის კატეგორიის წესები (PEFCR) შემდგომში გამოიყენება უსტი მოვლენებისთვის და ერთიანი დამაკავშირებელი პროდუქტის შედარებისა და ბენჩმარკინგის უზრუნველსაყოფად.

## პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მიდგომა, როგორც გზა მდგრადობისკენ

სასიცოცხლო ციკლის მიდგომა (LCT)<sup>3</sup> სისტემური მიდგომაა, რომელიც პროდუქტების გარემოზე ზემოქმედებას ითვალისწინებს, მათ შორის წარმოების პროცესის მიღმა. აღნიშნული მიდგომა, წარმოების პროცესების გაუმჯობესების გზით, ყურადღებას ამახვილებს მდგრადობის პრაქტიკების განმტკიცებაზე, რაც თავის მხრივ, გამოიხატება გარემოზე ზემოქმედების შემცირებასა და რესურსების გამოყენების მინიმიზაციაში.

სასიცოცხლო ციკლის შეფასება ანალიტიკური და სისტემური მეთოდია, რომელიც გამოიყენება პროდუქტის სავარაუდო/პოტენციური გარემოსდაცვითი ასპექტების შესაფასებლად, სასიცოცხლო ციკლის ყველა საფეხურზე.

## სასიცოცხლო ციკლის შეფასების (LCA) კომპონენტი

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შეფასება შესაძლოა დაეხმაროს კომპანიებს მათი პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების შესახებ კომუნიკაციაში, შესაბამისი საბაზრო არხების გავლით ასევე, განახორციელონ გარემოსდაცვითი ეტიკეტირება/მარკირება რაოდენობრივი და სანდო მეტრიკების საფუძველზე (ამჟამად არ არსებობს შესაბამისი რეგულაცია). თავის მხრივ, ამით საწარმოები შეძლებენ იყვნენ გამორჩეულნი კონკრეტულ სექტორსა და კატეგორიაში მათი გარემოსდაცვითი ზრუნვის ფაქტორის გამო. უფრო მეტიც, პროდუქტები უკეთ წარმოჩინდება იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა ნაწარმის შეძენით არიან დაინტერესებულები. დაბოლოს, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შეფასება, გრძელვადიან პერსპექტივაში პოტენციური ხარჯების დაზოგვის გზით, კომპანიებს ხელს შეუწყობს რესურსების დაზოგვის, ემისიების შემცირებისა და მდგრადობის კუთხით. სასიცოცხლო ციკლის შეფასება სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის რაოდენობრივი მიდგომაა. პროდუქტის გარემოსდაცვითი და საორგანიზაციო კვალის (PEF, OEF) შეფასების მეთოდოლოგია შექმნილია პროდუქტების და ორგანიზაციების სასიცოცხლო ციკლის გარემოსდაცვითი ეფექტურობის შესაფასებლად სასიცოცხლო ციკლის შეფასების მოდელის გამოყენებით.

განმარტვებული:



# ინსტიტუტებისა და ექსპერტების როლი

## ინსტიტუტების ჩართულობა

მდგრადობის პრაქტიკის ეფექტიანად ჩამოყალიბებისა და ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს ძირითადი ინსტიტუტები და შესაბამისი ორგანიზაციები, როგორებიცაა არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციები და ე.წ. „სინქ-თენქები“. მოცემული აქტორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მდგრადი წარმოებისა და ვაჭრობისთვის ხელსაყრელი ეკოსისტემის შექმნაში. ამასთან ერთად, აუცილებელია შესაძლებლობების გაძლიერება და ის უნდა მოიცავდეს ყველა სათანადო დაინტერესებული მხარეს, მათ შორის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, აკადემიას, სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას.

შესაძლებლობების გაძლიერების პროცესის წარმატების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, PEF-ის გაცნობისა და პოპულარიზაციის კუთხით, გათვალისწინებული იყოს თითოეული დაინტერესებული მხარის კონკრეტული საჭიროებები და კონტექსტი. აღნიშნული მოიცავს PEF-ის მდგრადობის პრაქტიკასთან დაკავშირებულ სპეციფიურ გამოწვევებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. ამასთანავე, სწავლების სხვადასხვა სტილსა და პრეფერენციებზე მორგების მიზნით, შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა მიწოდებული უნდა იყოს სხვადასხვა ფორმატში, როგორცაა ვორკშოპები, ტრენინგ-სესიები, სემინარები და ერთობლივი პროექტები.

შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის კონკრეტული ელემენტები ფოკუსირებული უნდა იყოს შესრულების შეფასების ჩარჩოს შემუშავებასა და განხორციელებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს სტრუქტურული მიდგომის არსებობას, რომელიც შეაფასებს და გაზომავს ორგანიზაციების საქმიანობას მდგრადობის მიზნებიდან გამომდინარე. ხსენებული ჩარჩოს ინტეგრირებით, ორგანიზაციებისთვის შესაძლებელი იქნება თვალყურის ადევნონ პროგრესს, განსაზღვრონ გასაუმჯობესებელი მიმართულებები და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაბამეა მათი მდგრადობის მიზნებს.

მნიშვნელოვანია, ისეთი საშუალებების შემუშავებაც, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში მიმდინარე პროექტებსა და ინიციატივებს შორის სინერგიას. სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობასა და ინიციატივების კოორდინირებას შეუძლია მაქსიმალურად გაზარდოს რესურსები, ცოდნის გაზიარება და კოლექტიური ძალისხმევა.

აკრედიტაციისა და სერტიფიცირების ორგანოების გაძლიერება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ხსენებული ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მდგრადი პრაქტიკების შეფასებისა და ხელშეწყობის მიმართულებით. მსგავსი ტიპის ორგანოების შესაძლებლობებისა და გავლენის გაძლიერება შესაძლებელს ხდის შეიქმნას სანდო სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემა, ამავდროულად, რომელიც მომხმარებლებში ნდობის დონეს ამაღლებს, შედარების საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს მდგრადი არჩევანის გაკეთებას.

გარდა ამისა, აუცილებელია, უზრუნველყოფილი იყოს ტექნიკური დახმარება იმ ორგანიზაციებისა თუ ბიზნესებისთვის, რომელთაც სურთ დანერგონ PEF მეთოდოლოგია. ევროკავშირის SMGP ინიციატივის მიზნების მისაღწევად, ინსტიტუტებმა უნდა გამოიყენონ ექსპერტთა არსებული ქსელი და ხელი შეუწყონ მჭიდრო სინერგიას. პარტნიორობა, ცოდნის გაზიარება და ერთობლივი ძალისხმევა შესაძლებლობას ქმნის გაიზარდოს ინიციატივის გავლენა, რაც საქართველოში მდგრადობის პრაქტიკის წარმატებით დამკვიდრებასა და ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

SMGP-ისა და PEF-ის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია, ზედმიწევნით, შესაბამისი ექსპერტების ჩართულობით დაიგეგმოს და განხორციელდეს მთელი რიგი აქტივობები, რაც თავის მხრივ სამიზნე აუდიტორიასთან წვდომას გააძვირებს და გრძელვადიანი შედეგის მომტანი იქნება.

### ინსტიტუტებსა და ექსპერტებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია:

- მოიცავდეს საბაზისო კვლევებს სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების, მოთხოვნებისა და ტენდენციების დასადგენად
- უზრუნველყოფდეს რესურსებს ციფრული საშუალებების განვითარებისთვის (გავლენიან ორგანიზაციებთან თანამშრომლობა), რათა შესაძლებელი იყოს საინფორმაციო კამპანიების ეროვნულ პოლიტიკასთან და სხვა ინიციატივებთან შესაბამისობაში მოყვანა
- მოიცავდეს ეფექტურ გზავნილებს (საბაზისო კვლევებზე დაყრდნობით) მყარი ციფრული წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და ადვოკატირების სტრატეგიის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს SMGP ინიციატივისა და PEF მეთოდოლოგიის დანერგვას შერჩეულ ინდუსტრიებში

## პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) ექსპერტის კვალიფიკაციის მიღება

პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) ექსპერტის სტატუსის მისაღებად, აუცილებელია სათანადო ექსპერტული ცოდნის შეძენა, რომელიც საჭიროა საქონლისა და მომსახურების გარემოსდაცვითი ასპექტების შესაფასებლად. აღნიშნული მოიცავს LCA და PEF მეთოდების საფუძვლების ცოდნას. ამასთანავე, მოითხოვს პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად ხელმისაწვდომი სხვადასხვა ტექნიკის გაცნობას, მათ შორის პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის კატეგორიის წესებისა (PEFCR)<sup>4</sup> და იმის ცოდნას, თუ როგორ ვრცელდება ხსენებული საქონელსა და მომსახურებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ექსპერტები ერკვეოდნენ იმ წესებსა და მოთხოვნებში, რომლებიც ეხება PEF-ს და თუ როგორ ვრცელდება ისინი სხვადასხვა პროდუქტებსა და სერვისებზე. ყველაფერთან ერთად, აუცილებელია, ექსპერტებს შეეძლოთ დაინტერესებულ მხარეებს მოკლედ და ნათლად მიაწოდონ ინფორმაცია კონკრეტული პროცედურებისა თუ გავლენების შესახებ, ამასთან, ჰქონდეთ მზაობა მონაწილეობა მიიღონ განგრძობით ტრენინგებსა და სასწავლო აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ SMGP ინიციატივის ფარგლებში, დაინტერესებულმა ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული ინდუსტრიების წარმომადგენლებისთვის PEF მეთოდოლოგიის დანერგვის უპირატესობებისა და შესაძლებლობების თაობაზე გამართულ სასწავლო კურსში. სამდღიანი ტრენინგი ონლაინ რეჟიმში, 2023 წლის აპრილის თვეში გაიმართა, რომლის შედეგადაც ხუთი ექსპერტი და ხუთი საწარმო შეირჩა ქვეყანაში PEF მეთოდოლოგიის პილოტირებისთვის.

## „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“(EU4ENVIRONMENT) პროგრამის შესახებ

პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შეინარჩუნონ საკუთარი ბუნებრივი კაპიტალი, გაუმჯობესონ მოსახლეობის ეკოლოგიური კეთილდღეობა და სტიმული მისცენ მწვანე ეკონომიკურ ზრდას. ამასთანავე, პროგრამა მხარს უჭერს პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ინვესტიციისა და დაეგმვის „გამწვანებას“ და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირებას ახალი ბიზნეს მოდელების მიღებითა და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნით. ხსენებულის ფარგლებში, UNIDO პასუხისმგებელია აქტივობებზე მე-2 შედეგის შესაბამისად - „წრიული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები“ რომელიც გულისხმობს:

### რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) მასშტაბების ზრდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის:

- შესაძლებლობების ზრდა და ცნობიერების ამაღლება ინდუსტრიაში რესურსეფექტურობასთან დაკავშირებით
- რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) შეფასება მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის
- რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) მეწარმეთა კლუბების ჩამოყალიბება



არსებულ ინდუსტრიულ ობიექტებზე ეკო-ინდუსტრიული პარკების ჩარჩო-დოკუმენტის გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასება და ანალიზი



ინდუსტრიული ნარჩენების რუკის შემუშავება/ განვითარება შერჩეულ რეგიონებში

**ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივისა და პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის კონცეფციებისა და ინსტრუმენტების გაცნობა და ხელშეწყობა:**



პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ბარიერებისა და შესაძლებლობების თაობაზე ინფორმაციის თავმოყრა



ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის(SMGP) ინიციატივის თაობაზე ცნობიერების ზრდა



შესაძლებლობების გაძლიერება პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებით



პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის პილოტირება შერჩეულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში

შენიშვნა:

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ და მხოლოდ UNIDO და იგი აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის მოსაზრებას.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური რედაქტირების გარეშე. მასში გამოყენებული აღნიშვნები და მასალა არ გამოხატავს გაერთიანებული ერების ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) სამდივნოს მოსაზრებებს რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რეგიონის, მისი უწყებების ან საზღვრების დელიმიტაციის, მისი ეკონომიკური სისტემისა თუ განვითარების დონის შესახებ. ისეთი დასახელებები, როგორიცაა „განვითარებული“, „ინდუსტრიული“ ან „განვითარებადი“ მოხსენიებულია სტატისტიკური მიზნით და აუცილებლად არ ასახავს, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან ტერიტორიის მიერ მიღწეულ განვითარების დონეს. კომპანიის და კომერციული პროდუქციის დასახელებების მოხსენიება არ გულისხმობს UNIDO-ს მიერ მათ რეკლამირებას. საინფორმაციო ფურცელში ასახული მოსაზრებები, ციფრები და გამოთვლები არის მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორების პასუხისმგებლობა და არ უნდა იყოს მიჩნეული UNIDO-ს და მისი წევრი სახელმწიფოების მოსაზრებებად.

© – 2023 – UNIDO. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირის მიერ შესაბამისი პირობებით.



**საკონტაქტო ინფორმაცია**  
**გერმანიის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია**  
**„ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ (EU4Environment) პროექტის**  
**მენეჯერი**  
**ტატინა ჩერნავსკაია**  
**ტელ.: +43 1 26 0 26 5520**  
**E-mail: t.chernyavskaya@unido.org**  
**ვებ-გვერდი: www.unido.org**

[1,2] წყარო: [www.ec.europa.eu/environment/eussd/smgp/pdf/EF%20simple%20guide\\_v7\\_clen.pdf](http://www.ec.europa.eu/environment/eussd/smgp/pdf/EF%20simple%20guide_v7_clen.pdf)  
 [3] წყარო: [www.eplca.jrc.ec.europa.eu/uploads/LCT-Making-sustainable-consumption-and-production-a-reality-A-guide-for-business-and-policy-makers-to-Life-Cycle-Thinking-and-Assessment.pdf](http://www.eplca.jrc.ec.europa.eu/uploads/LCT-Making-sustainable-consumption-and-production-a-reality-A-guide-for-business-and-policy-makers-to-Life-Cycle-Thinking-and-Assessment.pdf)  
 [4] გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მიმდინარე პროექტი არ უზრუნველყოფს PEF ექსპერტების გადამზადებას და ტრენინგს. ნაცვლად ამისა, არსებულ ექსპერტებს წარუდგენს PEF მეთოდოლოგიას კონკრეტულ სათანადო დარგებში (მდგრადობა, გარემოსდაცვითი პერფორმანსი, LCA, მწვანე მარკეტინგი და ა.შ.).  
 წყარო: [https://ec.europa.eu/environment/eussd/smgp/pdf/EF%20simple%20guide\\_v7\\_clen.pdf](https://ec.europa.eu/environment/eussd/smgp/pdf/EF%20simple%20guide_v7_clen.pdf)